არ მიაჩნდა „უნივერსალურ თეორიად“, რომლის მიხედვით შეიძლებოდა ნებისმიერი დაავადების ეტიო-პათოგენეზის ახსნა, მაგრამ მათ წინააღმდეგ საკანდიდატო დისერტაციაში დასკვნების გაკეთება მეტად სარისკოდ მიიჩნია. გამოსავალი ჰპოვა თვით ტაჯიკმა ახალგაზრდა ექიმმა – მან მიაგნო ივან პავლოვის მოწაფის, მ. პავლოვას, სტატიას, რომელიც დიდი ფიზიოლოგის ხელმძღვანელობით იყო შესრულებული. მ. პავლოვას ექსპერიმენტების შედეგები სრულიად ეთანხმებოდა ახალგაზრდა დისერტანტის შედეგებს, რამაც მეტად გაახარა მისანიკოვი და ასპირანტს უფლებას მისცა დამატებითი ექსპერიმენტები ჩატარებინა, რაც არ დაადასტურებდა ექსპერიმენტულ ჰიპოთეზის ტერმინის და ათეროსკლეროზის განვითარებაში „უმაღლესი ნერვული მოქმედების“ პირველადი დარღვევას. მოკლედ, ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის განვითარების ასახსნელად „კორტიკო-ვისცერული თეორია“ ვერ გამოდგებოდა. სწორედ ამან განაპირობა ახალგაზრდა დისერტანტის მიერ მისი წარმატებით დაცვა. რა თქმა უნდა, ი. პავლოვის მოძღვრების ვულგარიზატორებს: ბიკოვს, კურცინს და სხვებს, „ვიღაც“ ტაჯიკი ასპირანტის საკანდიდატო დისერტაციისთვის, მისი უმნიშვნელოდ მიჩნევის გამო, ყურადღება არც მიუქცევიათ, მაგრამ 1954 წელს ამ ვულგარიზატორების გავლენაზე მიანიშნა. ა. მისანიკოვმა, რადგან მოსკოვში არავინ ეგულბოდა, ვინც შეეჭიდებოდა ამ მეტად რისიკან საქმეს, გადაწყვიტა უკან დაებრუნებინა 29 წლის ახალგაზრდა თერაპევტი, რომლითაც მოიხიბლა მეცნიერული კეთილსინდისიერების, უკომპრომისობის, ნონკონფორმიზმის, აღმოსავლური მოხერხებულობის გამო და მისთვის სადოქტორო დისერტაციის მომზადება დაევალებინა პავლოვის ვულგარიზატორების წინააღმდეგ. მან თავის ახალგაზრდა დისერტანტს ურჩია, თავდაპირველად შეესწავლა პავლოვის და მისი მოწაფეების შრომები „უმაღლესი ნერვული მოქმედებაზე“ და „კორტიკო-ვისცერულ პათოლოგიაზე“. შემდეგ კი აეთვისებინა მათ მიერ გამოყენებული ფიზიოლოგიურ-ექსპერიმენტული მეთოდები; მესამე ნაბიჯი იქნე-

შეგროვებასაც მანსუროვმა სამი წელი მოანდომა, რომლისგან მიღებული შედეგებიც დამატურულად ეწინააღმდეგებოდა ვულგარიზატორების დასკვნებს.

ჰ. მანსუროვმა აჩვენა, რომ „უმაღლესი ნერვული მოქმედების“ ძვრები გვხვდება როგორც კორტიკო-ვისცერული პათოლოგიის დროს, ასევე, საკონტროლო ვჯუფში, იმ ნევროზების დროსაც, რომლებიც „თავიანთ სიაში“ ბიკოვის, კურცინის და ივანოვ-სმოლენსკის ფიზიოლოგიურ სკოლებს არ შეუტანიათ. ძვრები (ცვლილებები) თავის ტვინის ქერქში არის მეორადი და არა პირველადი, რომელსაც შეეძლო გამოენჯია ესა თუ ის დაავადება (კორტიკო-ვისცერული პათოლოგია). ასეთი ძვრები თავის ტვინის ქერქში არის იდენტური და არა დამოკიდებული დაავადების ხასიათზე („კორტიკო-ვისცერულ პათოლოგიას“ მიეკუთვნება იგი, თუ საკონტროლო ვჯუფს).

ამრიგად, „კორტიკო-ვისცერული პათოლოგიის“ საკითხებზე „წარმატებით დაცული“ 200-მდე დისერტაციის დასკვნა მცდარი აღმოჩნდა! ჰ. მანსუროვის სადოქტორო დისერტაციის აპრობაციებმა სხვადასხვა ინსტიტუტში დაძაბულად ჩაიარა. „კორტიკო-ვისცერული პათოლოგიის“ საკითხებზე დაცული დისერტაციების ხელმძღვანელებმა და თვით დისერტანტებმა თავიანთი გავლენა გამოიყენეს, რათა სასტიკად გაეკრიტიკებინათ „ვიღაც“ უმნიშვარი ტაჯიკი დისერტანტი და ამით დაეფარათ თავიანთი მარლატანობა.

უარყოფითი რეცენზიები ასე ულობით იყო, ამის მიუხედავად, მოსკოვის თერაპიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გაუძლო მათ ზენოლას და სადოქტორო დისერტაცია მოიწონა. დისერტაციის საჯარო დაცვა დაინიშნა საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის საექტო დარბაზში. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: პარინი (ყოფილი პოლიტპატიმარი, ფიზიოლოგი), ვოვსკი (ყოფილი პოლიტპატიმარი, თერაპევტი) და ჩერნოგოროვი (ფიზიოლოგი, ბიკოვის ფიზიოლოგიური სკოლის წარმომადგენელი). „კორტიკო-ვისცერული პათოლოგიის“ დამცველებმა ვერაფერი გააწყვეს და

მედიკოსმა თავის ტვინის ქერქის უმაღლესი ნერვული მოქმედების შესასწავლად ერთდროულად გამოიყენა ყველა ცნობილი კლინიკურ-ფიზიოლოგიური მეთოდი და მიიღო შედეგები, რომლის საფუძველზე გააკეთა დასკვნები:

- 1. თავის ტვინის ქერქში ძვრები (ცვლილებები) ნებისმიერი დაავადების დროს იდენტურია და არ ატარებენ სპეციფიურ ხასიათს;
- 2. „უმაღლესი ნერვული მოქმედების“ ძვრები (ცვლილებები) არ არის დაავადებათა მიზეზი, არამედ მათი შედეგია.

მე. პარინმა ამ სტატიაში ირიბად მიანიშნა „წარმატებით“ დაცულ 200-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციაზე. საბჭოური მედიცინა მრავალი წლით ჩამორჩენილი აღმოჩნდა...

33 წლის ჰამიდ მანსუროვს, ბრწყინვალედ დაცულმა სადოქტორო დისერტაციამ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ მოსკოვში, დიდი აღიარება მოუტანა, მაგრამ საკმაოდ ძლიერი „მტრებიც“ შესძინა. მან არ მიიღო თავისი მასწავლებლის წინადადება — მოსკოვის თერაპიის ინსტიტუტში დაეკავებინა ლვიძლის დაავადებათა განყოფილების ხელმძღვანელის მეტად პრესტიჟული თანამდებობა და დაბრუნდა დუშანბეში, დაიკავა ტაჯიკეთის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგის თანამდებობა. 1961 წელს, 36 წლის ჰ. მანსუროვს, მიენიჭა პროფესორის ნოდება.

ცხოვრებამ აჩვენა მანსუროვის წინდახედულება. მან საეხებით სწორად განჭვრიტა თავისი გავლენიანი ოპონენტების რეალური ძალა, რომ ისინი არ გაახარებდნენ „კორტიკო-ვისცერული პათოლოგიის“ უკომპრომისო კრიტიკოსს (ფაქტიურად, „მესაფლავეს“). სადაც პერიფერიაში, მოსკოვიდან შორს, დუშანბეში, მანსუროვი მათთვის ნაკლებად საშიში იყო, თუმცა, მაინც მოახერხეს მისთვის, საკავშირო სამედიცინო აკადემიაში არჩევისთვის, ხელი შეემაღათ. „კორტიკო-ვისცერული პათოლოგიის“ თავგამოდებულ დამცველთა მთავარი სამიზნე გახდა მანსუროვის მასწავლებელი, აკადემიკოსი ალ. მისანიკოვი. ისინი დაუახლოვდნენ მისანიკოვის მომხრეებს (რაც

ჰ. მანსუროვმა 1958 წლიდან 1974 წლამდე იმუშავა ტაჯიკეთის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგედ. 1962 წელს ის დანიშნეს ტაჯიკეთის სამხარეო პათოლოგიის მულტიპროფილური ინსტიტუტის დირექტორად, 1965 წელს — მონოპროფილური გასტროენტეროლოგიის ინსტიტუტის დირექტორად, რომელიც პირველი იყო საბჭოთა კავშირში. იმავე წელს ჰ. მანსუროვი ერთიანი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის გასტროენტეროლოგიურ და ჰეპატოლოგიურ ცენტრებში. აქ იგი ეცნო ცნობილ კლინიკოსებს — შეილა შერლოკს, სერ ფრენსისს, ავერო-ჯოუნსს და სხვებს. მანსუროვმა ბევრი რამ გადმოიღო მათგან და დაწერა ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის გასტროენტეროლოგიის ინსტიტუტში. მას არ გაუწყვეტია ურთიერთობა თავის მასწავლებელთან — ალ. მისანიკოვთან, რომლისგანაც გადმოიღო სისხლის შრატში ქოლესტერინის და სხვა ლიპიდების გამოკვლევა პოლიაროგრაფიული მეთოდით და ამის საფუძველზე მოაწონა კორონარული ათეროსკლეროზის საკუთარი ორიგინალური კლასიფიკაცია. ასევე, უზუსტად ასეთი მეთოდით, ქოლესტერინის და სხვა ლიპიდების კვლევის საფუძველზე მიაწონა ნალვლკენჭოვანი დაავადების კლასიფიკაცია, რომელიც მის სახელს ატარებს.

ჰ. მანსუროვმა, პირველად საბჭოთა კავშირში, დაამუშავა პირველი ჰიპოტენზიის პათოგენეზი ლვიძლის ციროზის დროს. მანვე მოაწონა საყლაპავის ვარიკოზული ვენების სკლეროთერაპია, ლვიძლის უკმარისობის კლასიფიკაცია, ნალვლის კენჭების სტადიური განვითარების საკითხები. მასვე ეკუთვნის პირველი ჰიპერტენზიის დეკომპრესიის ჩვენებების და უკუჩვენებების კრიტერიუმების, ალკოჰოლური ჰაიპინის დიაგნოსტიკური ღირებულების დადგენა. მანსუროვმა დაამუშავა ციროზული ასციტის დროს ნატრიუმის უარყოფითი ბლანდის მიღწევის საკითხები (როცა დიურეტიკების მიღება მკვეთრად შეზღუდულია). მისივე ინიციატივით, ტაჯიკეთის გასტროენტეროლოგიის ინსტიტუტში, დაინერგა ლვიძლის ტრანსპლანტაცია.





უცხოელი კოლეგის ხსოვნას

მე-5 გვ-დან

მანსუროვს ეკუთვნის 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის – 10-ზე მეტი მონოგრაფია და სახელმძღვანელო. საყოველთაო აღიარება მოიპოვეს მონოგრაფიებმა: „ლვიძლის ბიოფსია“, ს. კუტჩაკის თანაავტორობით, „ლვიძლის პუნქციური ბიოფსია“, „ლვიძლის ჰისტოლოგიური გამოკვლევის ატლასი“, „ლვიძლის დაავადებათა ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა“, „ჰელიოტროპული ჰეპათო-ანგიოპათია“, „მირონიკ-მანსუროვის დაავადება“, „ლვიძლის ფიბროზები“, „კლინიკური ნარკოტიკები ჰეპატოლოგიასა და გასტროენტეროლოგიაში“, „ქოლელითიაზით გამოვლენილი მეტაბოლური სინდრომი“.

მან, თავის მონაწილეობით ერთად, დაამუშავა ჰეპატო-სტეატოზის, ალკოჰოლური ჰეპატიტების და ციროზების საკითხები. მისივე ხელმძღვანელობით დაცულია 20 სადოქტორო და 100-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია.

მანსუროვი არჩეული იყო ტაჯიკეთის მეცნიერებათა და სამედიცინო აკადემიების ნამდვილ

წევრად (აკადემიკოსად), უნგრეთის და ბულგარეთის გასტროენტეროლოგთა ასოციაციების საპატიო წევრად, პოლონეთის ინტერნისტთა ასოციაციის წევრ-კორესპონდენტად, თუმცა, კორტიკო-ვისცერული პათოლოგიის რევანშისტ-მომხრეთა „მსახვრალი ხელის“ გამო არ იყო არჩეული საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში, რასაც იგი ზედმინდვით იმსახურებდა. მანსუროვი დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის და „ისმოილი სიმონის“ III ხარისხის ორდენებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მედლით. 1999 წელს, ტაშკენტში, შუა აზიის ქვეყნების ინტერნისტების I კონგრესზე ჰელიოტროპულ ჰეპატო-ანგიოპათიას ოფიციალურად უწოდეს მირონიკ-მანსუროვის დაავადების სახელი. მანსუროვმა, პირველად საბჭოთა კავშირში, დააარსა გასტროენტეროლოგიის ინსტიტუტი. ასევე, პირველად საბჭოთა კავშირში, მისი რედაქტორობით გამოვიდა სპეციალიზებული ჟურნალი – „გასტროენტეროლოგია“. იგი მრავალი ათეული წელი იყო

საკავშირო თერაპევტთა და გასტროენტეროლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების გამგეობის წევრი, ტაჯიკეთის თერაპევტთა და გასტროენტეროლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის უცვლელი თავმჯდომარე, „დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის“ გასტროენტეროლოგიური სექციის რედაქტორი. ის აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს მასშტაბით მოწყობილ კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, ყრილობებსა თუ კონგრესებზე. მისი მოხსენებები იყო აკადემიური, უაღრესად მეცნიერული და, ამავდროულად, პრაქტიკული ღირებულების მქონე, რასაც ხელს უწყობდა მისი დიდი კლინიკური გამოცდილება, რუსული და ინგლისური ენების ბრწყინვალე ცოდნა, ორატორული ტალანტი და იუმორის მოჭარბებული გრძნობა.

მანსუროვი ხშირად სტუმრობდა ჩვენს ქვეყანასაც. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო თერაპიის ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული სესია ქ. სილნალში, სადაც აკადემიკოსები ვახტანგ ბოჭორიშვილი და ჰამიდ მანსუროვი, როგორც საუკეთესო მომხსენებლები, გამოირჩეოდნენ; ასევე ბრწყინვალე იყო

მათი პაექრობა ნადიმზე – ეს იყო დაუფინყარი საღამო...

ჰამიდ მანსუროვს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ ექიმებთან კ. ვირსალაძესთან, ნ. ყიფშიძესთან, გ. ადამიასთან, ვ. ბოჭორიშვილთან, ე. ბოცვაძესთან, ა. სამადაშვილთან და სხვებთან. სტუმრობდა მათ ოჯახებს, ძალიან აფასებდა ქართულ სტუმართმოყვარეობას, გულუხვ სუფრას, მაღლიან ქართულ ლხინს. თვითონაც, დუშანბეში ჩასულ ექიმებს, სამაგიეროს მიავებდა გულუხვი მასპინძლობით. ყოფილა შემთხვევები, როცა მის ინსტიტუტში მივილინებული ქართველი კოლეგები საკუთარ სახლში მიუწვევია და უანგაროდ გამასპინძლებია.

1965 წლის მაისში ჟენევაში, მის მასწავლებელს, აკადემიკოსს ალ. მისანიკოვს, საზეიმო ვითარებაში გადაეცა „ლაენეის ოქროს სტეტოსკოპი – მსოფლიო კარდიოლოგიაში განსაკუთრებული დამსახურებისთვის“, რასაც მოსკოვის სამედიცინო საზოგადოება ხაზგასმული ღუმლით შეხვდა...

ამის შემდეგ მანსუროვმა თავისი მასწავლებელი მიიწვია ტაჯიკეთის თერაპევტთა ყრილობაზე,

წინა დღეს კი რესპუბლიკურ გაზეთში – „ტაჯიკეთის კომუნისტში“ – გამოქვეყნდა ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლის თანახმად, „აკადემიკოს ალ.მისანიკოვს მიენიჭა ტაჯიკეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება – ტაჯიკეთისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების აღსანიშნავად“... როცა მონაწილე მასწავლებელი, მის თვალზე მაღლიერების ცრემლები შეამჩნია... რამდენიმე თვის შემდეგ აკადემიკოსი ალ. მისანიკოვი წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა...

ამაგის დაფასება ხომ დიდი ნიჭია და ყველაფერთან ერთად, დღებუნივით მანსუროვს ესეც არ შეშლია...

ჰამიდ მანსუროვის სახით, დიდი მეგობარი და მასწავლებელი დავკარგეთ ქართველმა კოლეგებმა, მაგრამ მისი სახელი ჩვენში დავინყებთ არ მიეცემა, ამიტომაც განვიზრახეთ ამ სტატიის მიძღვნა მისი ხსოვნისადმი.

ბ. პაჭკორია, ე. ალაშია, ი. სიმონიშვილი

მეცნიერების ხსოვნა

აუცილებელი არაა გავიხსენო დიდი ქართველები. ისიც საკმარისია, რომ ჩვენ ვართ თანამედროვეობის უდიდესი მწერლის, საქართველოში მცხოვრები ჭაბუა ამირჯიანის, თანამედროვენი. ვიყავი რა ერთ-ერთი მივლინების დროს თბილისში და გაეჩერდი მისი ნათესავების ოჯახში, გავიცანი ეს არაჩვეულებრივი ადამიანი – „დათა თუთაშხიას“ ავტორი.

მსგავსი არაფერი შემხვედრია თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ თ. ი. შველიძისა და მისი თანაავტორების ნაშრომის გამო შემიძლია ქედი მოვიხარო საქართველოს შესანიშნავი ხალხის წინაშე, რომლის კულტურასაც დიდი ხნის მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენი ხალხის კულტურასთან.

რეცენზირებული წიგნის – „ჰემატოლოგიის ატლასის“ – ორიგინალობა უდავოა. მისი გამოცემა არაჩვეულებრივი მოვლენაა. ჰემატოლოგებისთვის კარგად არის ცნობილი ბუნებრივ პირობებში გაზრდილი სისხლის, ძვლის ტვინის, ლიმფური კვანძების და ელენთის მომნიჭებული უჯრედების სურათები და ფოტოები, მაგრამ ქსოვილურ კულტურაზე გაზრდილი უჯრედები სულ სხვა საქმეა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სისხლმბადი უჯრედების კულტივირება როგორც ჯანმრთელი ორგანიზმის, ისე სისხლის პათოლოგიის დროს, მარტივი საქმე არ გახლავთ. „ჰემატოლოგიის ატლასის“ ავტორებმა სამართლიანად მიუძღვნეს ცალკე თავი კულტივირების ტექნიკურ

საკითხს, რაც, თავის მხრივ, დამოუკიდებელი ინტერესის სფეროს წარმოადგენს.


ოდესღაც რეცენზიის ავტორს უწევდა მუშაობა ძვლის ტვინის ფიბრობლასტების ქსოვილურ კულტურებზე პეტრის ფინჯანში (ან გარდაცვლილ ალექსანდრე

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის ივნისის თვის ნომერში მკითხველს მივანოდეთ ინფორმაცია საქართველოში პირველად გამოცემული ორიგინალური წიგნის – „ჰემატოლოგიის ატლასის“ – თაობაზე, რომლის ავტორები არიან: პროფესორი თინათინ შველიძე, თამარ და ნიკოლოზ სარალიძეები, ლია მოხევიშვილი. ამას წინათ, აღნიშნულ წიგნს, მეტად შთაბეჭდავი რეცენზია მიუძღვნა რუსეთის სამედიცინო აკადემიის ნამდვილმა წევრმა, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ცენტრის დირექტორმა, მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის გადაუდებელი თერაპიის და ჰემატოლოგიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ანდრეი ვორობიოვმა, რომელმაც ეს რეცენზია გამოაქვეყნა რუსულ ჟურნალში – „ჰემატოლოგია და ტრანსფუზიოლოგია“. იმდენად საგულისხმოდ მივიჩინეთ პროფესორ ა. ვორობიოვის რეცენზია, რომ მისი გამოქვეყნება, ოდნავი შემცირებით, გადავწყვიტეთ ჩვენს გაზეთშიც. ხაზგასასმელია ისიც, რომ რეცენზიის ავტორს, ათნლეულების მანძილზე, მეტად თბილი მეგობრობა აკავშირებს საქართველოსთან.

იაკობის ძე ფრიდენშტეინთან ერთად). განცვიფრებით აღმოვაჩინე არსებითი განსხვავება ძვლის ტვინის ნაცხის უჯრედებსა და კულტივირებულ უჯრედებს შორის. აღმოჩნდა, რომ ფიბრობლასტები ნაცხში უბრალოდ არ განირჩევიან. გასაკვირია, მაგრამ ეოზინოფილები და ბაზოფილები ძალიან გვანან ქსოვილურ კულტურაში. ფიბრობლასტებს სტანდარტულ მიელოგრამაში არც კი აღნიშნავენ, თუმცა მათი წარმომადგენლობა იგივე პრეპარატის ჰისტოლოგიური ანალიზის მიხედვით ბაზოფილებზე, პოხიერ

უჯრედებსა და ეოზინოფილებზე ნაკლები არ არის.

როგორც ცნობილია, ბოლო ათწლეულების მანძილზე, პრინ-



და სხვათა მიერ).

ამ პროგრამების შემუშავებაში კულტივირების მეთოდოლოგიური მიდგომები თამაშობენ გარკვე-

ციპული ცვლილებები განხორციელდა ონკოჰემატოლოგიაში – შემუშავებულია ლეიკემიების დიდი ნაწილისა და ჰემატოსარკომების, როგორცაა: ელენთის, ნუმიტური ჯირკვლის, კუჭის, ბერკიტის პირველადი გენერალიზებული, დიფუზური B-მსხვილ-უჯრედოვანი ლიმფოსარკომა და სხვ. მკურნალობის და განკურნების პროგრამები (კერძოდ, რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჰემატოლოგიური სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლების ა. მ. კრემენცკის, ე. ა. ბორიასის, ე. ე. ზვონკოვის, ა. უ. მაგომედოვას

დებისა, რომლებიც სხვადასხვა ორგანოს აზიანებენ, შეიძლება მკვეთრად განსხვავებული იყოს სხვადასხვა ციტოსტატიური პროგრამის გამოყენების დროს.

სისხლმბადი უჯრედების მორფოლოგიური იდენტიფიკაციის საკითხს (მათი ფუნქციონალური განსხვავების დროს) პრინციპული მნიშვნელობა აქვს ონკოჰემატოლოგიისთვის. ეპითელური ავთვისებიანი უჯრედების სიმსივნეების დროს არავინ ეძებს მორფოლოგიურ განსხვავებას, მაგალითად, კუჭის და ფილტვის ადენოკარცინომის უჯრედებს შორის. დიაგნოზი ყალიბდება სიმსივნური ზრდის ლოკალიზაციის მიხედვით. ჰემატოლოგების შემთხვევაში ასეთი მიდგომა შეუძლებლად მიიჩნეოდა რეალობაში, რამდენადაც ჰემატოლოგები, სიმსივნური ზრდის გამოვლენისთანავე, ხშირად სისტემურ ხსიათს ატარებენ. განსხვავება ვლინდება სიმსივნური უჯრედების ცხოველმყოფელობაში მათი პირველადი ლოკალიზაციის ადგილის მიხედვით.

ეს ფენომენი დაედო საფუძვლად აფორიზმს – „ლიმფოსარკომების დროს პროგნოზი განისაზღვრება პირველადი დაზიანების ლოკალიზაციით“. როგორ იქნება ეს გამოხატული სისხლმბადი უჯრედების კულტურაში, გვიჩვენებს თ. ი. შველიძისა და მისი კოლეგების შემდგომი გამოკვლევები. ეჭვგარეშეა, რომ „ჰემატოლოგიის ატლასი“, თ. ი. შველიძის რედაქციით, დიდი ინტერესით იქნება მიღებული არა მხოლოდ კლინიკისტების, არამედ სამეცნიერო მკვლევარების მიერაც.



„ხელოვნება სავსეა უცვლელად“

„მშვიდობის ელჩები საქართველოდან“

თბილისის სახელმწიფო სა-
მედიცინო უნივერსიტეტი ათე-
ული წლებია ქვეყნის უმაღ-
ლეს სასწავლებლებს შორის
კულტურულ-მემორიალური
აქტიურობით და წინსვლით
გამორჩევა. სხვადასხვა თა-
ობის მომავალ მედიკოსებში
მოიძებნებოდნენ შესაძური ნი-
ჭით და ტალანტით გამორჩეუ-
ლი ახალგაზრდები, რომელთა
შორის – **ბათუ კრავიცივილი,**
თენგიზ მუშუდიაშვილი,
ლატავერა ფორიანი, **ლადო კახაძე,**
ბესიკ კილასონი და სხვებ-
მა, თავის დროზე არაერთხელ
გაუთქვეს სახელი მშობლიურ
უმაღლეს სასწავლებელს და
ქართულ კულტურას...

...შემდეგ წლებში კი, კერ-
ძოდ, **1984 წლის ოქტომბერში,**
მაშინდელი თბილისის სახელ-
მწიფო სამედიცინო ინსტი-
ტუტის სტუდენტებმა: **ბადრი**
მაჭავარიანი, **გოგიტა დათუ-**
კიშვილი, **დავით ქვეცივილი-**
მა, **გელა მგელაძე,** ერთ-ერთ
საქალაქო ღონისძიებაზე მათ
მიერ წარმატებით წარდგენი-
ლი ქორეოგრაფიული ნომრის
შემდეგ, გადაწყვიტეს ანსამ-
ბლის ჩამოყალიბება და მიუ-
ხედავად არაერთი მიზეზისა,
მაინც შეძლეს მიზნის გახორ-
ციელება და ანსამბლიც ნელ-
ნელა იდგამდა ფეხს. სულ მა-
ლე მათ ინსტიტუტში ხალხური

ცნობილი „ერისონის“, ნევრ-
ბი: **თემრან დევდარიანი,** **ამი-**
რან ჩხაიძე, **ნუგზარ წერეთელი;**
ამ წლებში ანსამბლის ლოტბა-
რად **ვაჟა ტალახაძე,** ხალხური
საკრავების ჯგუფის ხელმძღ-
ვანელად – **რევაზ შარიქაძე,**
ქორეოგრაფად კი –
ჯავარ ნაჭყებია მიიწ-
ვიეს.

ანსამბლს მნიშვე-
ლოვანი თანადგომა
ჰქონდა ინსტიტუტის
მაშინდელი რექტორის,
პროფესორ **არჩილ ასა-**
თიანის, პრორექტორ
გიორგი ავალიშვილის,
პროფკავშირის კომი-
ტეტის ხელმძღვანე-
ლის, **კოკი კეკელიძის,**
მხრიდან. შემდეგ კი
ბატონების – **არჩილ**
ასათიანისა და ამირან
გამყრელიძის – წარ-
დგინებით, ანსამბლის
მიერ საქართველოში
1991 წელს გამართულ-
მა კონცერტებმა აღფ-
რთოვანებაში მოიყვანა
იტალიელი კოლეგები,
რასაც შედეგად მოჰყვა
ქართული ანსამბლის
წარმატებული **19** იტა-
ლიური და ევროპული
გასტროლი სხვადასხვა
თაობის სტუდენტთა
შემადგენლობით.


იტალიასა და საფრანგეთში,
ინგლისში, ბელგიაში, გერმან-
იაში, შვეიცარიაში, ჩეხეთ-
ში, საბერძნეთში, ესპანეთში,
პორტუგალიაში, რასაც მოჰყ-
ვა დამსახურებული – მთავარი
პრიზები, ოქროს მედლები, ევ-

ცენტრში, იქმნება მომღერალ
ვაჟთა გუნდი – „ფესვები“, და-
ვით **უზნაძის** ხელმძღვანელო-
ბით. რამდენიმე წლის შემდეგ
კი ანსამბლის 7 წევრი ქმნის
ანსამბლ „შეიკაცას“, რომ-
ლის წარმატებების შესახებ
კარგად უწყის ქართ-
ველმა მაყურებელმა.
მათ აღზრდაში დიდი
წვლილი მიუძღვის ბა-
ტონ **დავით უზნაძეს.**

მომდევნო წლებ-
ში თსსუ-ის ხელმძღ-
ვანელობაში მოსულმა
გუნდმა, ბატონების:
ზურაბ ვადაჭკორიას,
ზურაბ ორჯონიკიძის,
ხელმძღვანელობით,
ასევე, სპორტისა და
ხელოვნების ცენტრის
დირექტორის, ბატონი
რიმა ბერიაშვი-
ლის, ბატონი **კახაბერ**
ჭელიძის, კანცლერის
მოადგილის, ბატონი
მამუკა კალმახელიძის,
ვაკულტეტების დეკან-
ების, **სტუდენტური**
თვითმმართველობის,
საზოგადოებასთან ურ-
თიერთობის სამსახუ-
რის, **სამედიცინო გა-**
ზეთის“ რექტორისა
და **ინფრასტრუქტურის**

ხორგუშვილი, თემურ სინჯი-
კაშვილი. ასევე, მოცეკვავეები
– **გელა მგელაძე,** **ბადრი მაჭა-**
ვარიანი, **დავით ქვეცივილი,**
ია ავალიანი, **ზიზი გოგოლაძე,**
ლელა ხალიაშვილი, **სოფო ტა-**
ტიშვილი, **კობა მაისურაძე,** **სა-**
ლომე ნიკურაძე, **სოფო ნიკუ-**
რაძე, **თამუნა მალაქელიძე,**
თამუნა სხვიტარიძე, **ნინო ჩა-**
ნაშვილი, **თეა მანაშელი,** **თამუ-**
ნა კემელავა, **დეა ებრალიძე,**
ხატია კორკელია, **სოსო ლა-**
ჩაშვილი, **გიორგი ბოჭორიშ-**
ვილი, **ბესო მეტონიძე,** **თამუნა**
სალაძე და სხვები, გოგონათა
სტუდენტური ხალხურ საკ-
რავთა და მომღერალთა ან-
სამბლი – „დეკა“, **დავით რატი-**
ანის, ხელმძღვანელობით;

კონცერტის მომზადებაში
ბატონ **ბადრი მაჭავარიანი**თან
ერთად, ლომის ნილი მიუძღ-
ვით: ანსამბლის მთავარ ქო-
რეოგრაფს, „ლირების ორდე-
ნის“ კავალერს, საქართველოს
დამსახურებულ არტისტს, სუ-
ხიშვილების ლეგენდარული
თაობის ერთ-ერთ საუკეთეს-
ო წარმომადგენელს, ბატონ
დავით უგრეხელიძეს, ქორე-
ოგრაფ **ინეზა კუპრეიშვილს,**
ლოტბარ **დავით რატიანს,**
მუსიკოს **ბეჟან მაისურაძეს,**
რომელიც ათეული წლების
მანძილზე უცვლელად ემსახუ-
რება ანსამბლს.



სიმღერისა და საკრავების
მოყვარულ სტუდენტებს
მოუყარეს თავი. ბატონმა
ბადრიმ ანსამბლში მიიწ-
ვია ცნობილი ლოტბარი
იუზა კუბლაშვილი, ასევე,
შერმადინ დარჩიაშვილი.
1986 წელს, ანსამბლს, დე-
დაქალაქში ჩატარებულ
„სტუდენტურ ფესტივალ-
ზე“ საუკეთესო ქორეოგ-
რაფიული დადგმისთვის,
„ილიკო სუხიშვილის სახე-
ლობის“ პრიზი გადაეცა.



„მშვიდობის ელჩები
საქართველოდან“ – ასე
უნოდებენ სამედიცინო
უნივერსიტეტის ან-
სამბლს, მნიშვნელოვნად
რომ გაუთქვეს სახელი
როგორც ჩვენს ქვეყანას,
ასევე, მშობლიურ უმაღ-
ლეს სასწავლებელს. ამის
დასტურად იმ დღეს ერ-
თმანეთს ცვლიდა მო-
ლოცვის ვიდურო-კადრები
უცხოელი კოლეგებისა
თუ მეგობრებისგან.

ანსამბლი წლების მანძილ-
ზე წარმატებით ქმნიდა საკუ-
თარ სახეს და ხელწერას და,
აი, **1989** წელს, ბატონმა ბად-
რიმ წარმატებით დაგვიმა და
განახორციელა პირველი სა-
გასტროლო მოგზაურობა **პო-**
ლონეთში, ქ. პოზნანში.

ასე გაჩნდა ანსამბლის
ცხოვრებაში პირველი უცხო-
ური გასტროლი, ტელე-რადიო
ინტერვიუები, უცხოური პრესა
და მქიკრა ანსამბლის შემოქმე-
დებითი ბირთვი: **ბადრი მაჭა-**
ვარიანი, **გელა მგელაძე,** **დავით**
ქვეცივილი... სტუდენტები:
მამუკა გიორგაძე, **თემურ უზ-**
ნაძე, **კახა მოსიძე,** **ჭყიტიძე,** **ია**
ავალიანი, **პირიმე გოგოლაძე,**
ნანა ქავთარაძე, **ზურაბ ლემკა-**
შელი, **ლელა ხალიაშვილი,** **ლიკა**
ბერიშვილი, **დავით უპარაშვი-**
ლი, **პაატა ქვეცივილი,** **ავთან-**
დილ კვინიკაძე, **გია ჯალალიშ-**
ვილი, **შალვა ნითიძე,** **თიკა**
კეცურაიანი, **კახა მეტრეველი,**
ხანა ლლონტი და მრავალი სხვა
მნიშვნელოვანი სიტყვას ამბობ-
დნენ წლების განმავლობა-
ში ანსამბლის შემოქმედებით
წინსვლაში. ახალგაზრდა შე-
მოქმედებს გვერდით ედგნენ
საქართველოს სიმღერისა და
ცეკვის სახელმწიფო ანსამ-
ბლის, დღეს კი ყველასთვის

...1990-იანი წლები, ურ-
თულესი პერიოდი ქვეყნის
ისტორიაში. ახლადარჩეული
რექტორის, **რამაზ ხეცურია-**
ნის, თაოსნობით, სამედიცინო
ინსტიტუტს უნივერსიტეტის
სტატუსი მიენიჭა. სწორედ ამ
პერიოდიდან დაიწყო ახალი
ხანა თსსუ-ში ევროპული და
მსოფლიო დონის სამედიცინო-
აკადემიური განათლების
დასაწერად. და, მიუხედავად
როული პროცესებისა, ანსამ-
ბლი მაინც დაუბრკოლებლად
აგრძელებს მემორიალური
ცხოვრებას – უნივერსიტე-
ტის რექტორატმა დახმარება
და თანადგომა გაუწია ახალ-
გაზრდა მემორიალურებს. **1992**
წელს, ბატონმა ბადრიმ, ან-
სამბლის მთავარ ქორეოგრა-
ფად მიიწვია სუხიშვილების
ანსამბლის ლეგენდარული
თაობის საუკეთესო წარმო-
მადგენელი, ბატონი **თენგიზ**
ჯავახიშვილი, ხოლო მომღე-
როლთა გუნდის ლოტბარად
– **საზოგადოებასთვის ჯერ**
კიდევ უცნობი, ახალგაზრდა,
ნიჭიერი მემორიალური – ბატონი
დავით უზნაძე.

...მიდიოდა წლები, წარ-
მატებას წარმატება ცვლიდა,
ქვეყანას – ქვეყანა. ქართველ
მემორიალურებს წარმატებებს ახა-
ლი აღიარებანი ემატებოდა

როპარლამენტის ფესტივალის
დიპლომები, საპატიო „სახალ-
ხო ანსამბლის“ თუ „წლის სა-
უკეთესო ანსამბლის“ საპატიო
წოდებები...

შემდეგ კი უცხოეთთან
შემოქმედებითი გზის უფრო
ფართოდ გაკვლევის საქმეში
ანსამბლის ხელმძღვანელო-
ბას მხარში ამოუდგა თსსუ-
ის მაშინდელი პრორექტორი
უცხოეთთან ურთიერთობის
დაჭკორია და უცხოეთთან
ურთიერთობის სამსახურის
უფროსი, ქალბატონი **რიმა**
ბერიაშვილი, ეს კი ანსამბ-
ლის წინსვლის უცილობელ
ფაქტორს წარმოადგენდა.
აღსანიშნავია, ასევე, წლე-
ბის მანძილზე ქალბატონი
რუსუდან ბერიაშვილის დიდი
ღვაწლი ანსამბლის შემოქმე-
დებით წარმატებაში, რომე-
ლიც ანსამბლის არა მარტო
თარჯიმანი, საყვარელი მეგო-
ბარი და მრჩეველი, არამედ –
„მთავარი ექსპერტი“ გახლ-
დათ. რაც შეეხება ანსამბლის
თარჯიმნებს, მნიშვნელოვანია
ზურაბ გურულის და **ურა ნებო-**
ერიძის დიდი წვლილი უცხო-
ეთის ქვეყნებში წარმატებულ
სვლასა და აღიარებაში.

2000 წელს, სამედიცინო
უნივერსიტეტის კულტურის

სამსახურის აქტიური მხარში
დგომითა და თანამშრომლო-
ბით, ანსამბლს ყველანაირი
პირობა ექმნებოდა წარმატე-
ბების მისაღწევად და აღიარე-
ბისთვის ქვეყნის თუ უცხოე-
თის მასშტაბით.

უნდა ითქვას, რომ ანსამ-
ბლი საქართველოში ჩატარე-
ბული „სტუდენტური დღეების“
ყველა ნომინაციის გამარჯვე-
ბულია.

სწორედ ანსამბლის წარ-
მატებულ **30-წლიან** სვლას
მიეძღვნა თსსუ-ში ამას წი-
ნათ ჩატარებული საიუბილეო
კონცერტი, კიდევ ერთი დას-
ტური ანსამბლის შემოქმე-
დებითი ცხოვრების უკვდა-
ვებისა. სცენაზე ერთმანეთს
ცვლიდნენ ანსამბლის ძველი
და ახალი თაობების წარმო-
მადგენლები, ამჟამად ქვეყნის
სამედიცინო სფეროში მოღ-
ვანე წარმატებული ექიმები,
ფარმაცევტები და სხვადას-
ხვა პროფესიის ადამიანები,
კერძოდ – მომღერალ ვაჟთა
გუნდის წევრები – **რევაზ შა-**
რიქაძე, **ბესო ჯავარიძე,** **ავ-**
თანდილ კვინიკაძე, **ოთარ ბა-**
ილოშვილი, **შალვა ნითიძე,**
თემრან დევდარიანი, **ლევან**
ვეშაპიძე, **მალხაზ თალაყვაძე,**
მიხეილ ჯიბუტი, **ოთარ ლომი-**
ნაძე, **დავით უზნაძე,** **ვალერი**

ქართველმა ქორეოგრაფებ-
მა და ქორეოგრაფ მოღვაწე-
თა შემოქმედებითი კავშირის
ხელმძღვანელობამ – **ოლეგ**
ალავიძის, **თენგიზ უთმელი-**
ძის, **იური ტორაძის,** **გეორგი**
ფოცხიშვილის შემადგენლო-
ბით, მიულოცეს რა თავიანთ
სამაყო კოლეგას **30-წლიანი**
წარმატებული შემოქმედები-
თი მოღვაწეობა, აღნიშნეს,
რომ თსსუ-ის სიმღერისა და
ცეკვის ანსამბლის ხელმძღ-
ვანელი, ბატონი **ბადრი მაჭა-**
ვარიანი, ქვეყნის კულტურულ
წინსვლაში დიდი წვლილის-
თვის წარდგენილია განსა-
კუთრებული ჯილდოს – „სა-
ქართველოს ქორეოგრაფიის
ამაგდარის ორდენის“ მოსა-
პოვებლად, ხოლო **ანსამბლი**
საქართველოს ქორეოგრაფიის
მოღვაწეთა კავშირის საპატიო
წევრი გახდა.

საინტერესო შემოქმედები-
თი გზა გრძელდება. მომავალი
მედუკოსები მრავალგზის ასა-
ხელებენ მშობლიურ უნივერ-
სიტეტს, კვლავ შეასრულებენ
„მშვიდობის ელჩის“ საპატიო
მისიას უცხოეთის არაერთ
ქვეყანაში...

მომავალს
დარეგან კომპაქტს,
მანანა ფხალაძე

